პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 167 (3651)

25 1968 წ. აგვისტო. კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## სპორტული კალეიდოსკოპი

### პიკი „ქუდს იხდის"

ალმა-ათა, 23 აგვისტო. ცენტრალური ტიან-შანის სხვა მწვერვალებზე ამაყად ამაღლებულმა ხან-თენგრის პიკმა (6.995 მ) ათი დღის მანძილზე ორჯერ „მოუხადა ქუდი" ყაზახეთის მთამსვლელებს, რომელთაც გეოლოგი ბ. სტუდენინი ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად შვიდმა მამაცმა მრისხანე პიკზე ჩრდილოეთიდან მიიტანა იერიში.

მერე სპორტსმენებმა შატერის (6.700 მ) და უსახელო მწვერვალის (6.637 მ) ძალიან რთული ტრავერსი მოაწყვეს. ეს უკანასკნელი მთამსვლელებმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის პატივსაცემად მონათლეს. მეორე უსახელო მწვერვალს (6.280 მ) უწოდეს შვეიცარიელი კომუნისტის ლ. სალადინის სახელი, რომელიც 31 წლის წინათ საბჭოთა მთამსვლელებთან ერთად (ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვ. აბალაკოვი) ადიოდა ხან-თენგრიზე.

### მყუდროებში ჩადგა

კიროვი, 23 აგვისტო. ოლქის რაიონულ ქალაქ კიროვოჩეპეცკში მყუდროში ჩადგა ახალი ხელოვნური საციგურაო. „ა" კლასის ადგილობრივი გუნდის „ოლიმპიას" ჰოკეისტებმა პირველი საწვრთნელი მეცადინეობა გამართეს ამ საციგურაოზე და ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. ხელოვნურ ყინულზე ფიგურისტებიც ივარჯიშებენ.

### უშუალოდ დაფასთან...

რიგა, 23 აგვისტო. ლატვიის დედაქალაქის მოშაშეთა კლუბმა გამოცდა მოაწყო მიმოწერით თამაშის მოყვარულთათვის: დღეს აქ გაიხსნა დაუსწრებელ მოშაშეთა I საკავშირო ტურნირი.

აქ ჩამოვიდნენ მიმოწერით თამაშის ოსტატები ომსკიდან, კემეროვოდან, ბარნაულიდან, ფრუნზედან, ნოვოსიბირსკიდან, ყაზანიდან. სულ თავი მოიყარა 40-ზე მეტი ქალაქის 150 მოშაშემ.

მოშაშეები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ თამაშით, მაგრამ შეხვედრით მხოლოდ ახლა შეხვდნენ. ისინი შვეიცარიული სისტემით გაითამაშებენ ათ ტურს, რათა გაარკვიონ, ვინაა მათგან უძლიერესი უშუალოდ დაფასთან.

## ოლიმპიური ცეცხლი გზას გაუდგა

MEXICO 1968

ათენი, 24 აგვისტო. ზეთისხილის რტო გამადიდებელი შუშით თავმოყრილი მზის სხივებით ინთება — ასე იბადება ქალაქ ოლიმპიის ძველთაძველი სტადიონის საკურთხეველზე ოლიმპიური ცეცხლი.

ცეცხლი, რომელიც მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში ახალი სპორტული გამარჯვებებისკენ გაუნათებს გზას მონაწილეებს, გუშინ აინთო ქალაქ ოლიმპიაში. ახლა ეს მოგიზგიზე ესტაფეტა საბერძნეთის მიწაზე რიგრიგობით მიაქვს 850 სპორტსმენს.

დღეს საღამოს ოლიმპიურ ჩირაღდანს საბერძნეთის სამხედრო ხომალდზე აიტანენ და გაგრძელდება ოლიმპიური ცეცხლის 48-დღიანი გზა მექსიკის ნაპირებისკენ.



## ვეტერანი მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს

ვოლგოგრადში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს V საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით. ხალიჩაზე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის 10 უძლიერესი გუნდი რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

ჩემპიონატის დაწყებამდე სპეციალისტები წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ წინა სპარტაკიადების ოთხგზის ჩემპიონს — რსფსრ-ს ნაკრებს, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა: საქართველოს სპარტაკელებმა მაღალ დონეზე იასპარეზეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. ჩვენს გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი და სახელობითი პრიზები.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავი გამოიჩინეს პირად ჩათვლაშიც: 56 შეხვედრიდან მათ მხოლოდ 8 ბრძოლა წააგეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ნ. ვერიგინი, ა. ვარლამოვი (ორივე — ლენინგრადი), გ. ყვარელაშვილი (საქართველო), რ. ჩეგემოვი (უკრაინა), ნ. ჟურული (მოსკოვი), შ. პაპაშვილი, ზ. გობეჯიშვილი (ორივე — საქართველო), ვ. პოპოვი (აზერბაიჯანი).

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენმა ფალავნებმა თ. გოგოლაძემ და ო. ქელეხსაშვილმა, რომლებმაც შესაბამისად II-III ადგილები დაისაკუთრეს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ტურნირის ვერცხლის პრიზიორი, ვეტერანი სპორტსმენი გ. გობეჯიშვილი, რომელმაც თავისი ვაჟკაცური ჭიდაობით კარგი მაგალითი მისცა ახალგაზრდებს.

შ. ნოზაძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



როგორც ვიუწყებოდით, თბილისში სტუმრადაა საფრანგეთის ქალაქ ვილფრანშის ხელბურთელ ვაჟთა გუნდი.

ს უ რ ა თ ზ ე: ფრანგი ხელბურთელები ვაკის პარკში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(სტუმრებისა და მასპინძლების პირველი მატჩის ანგარიში იხ. მე-4 გვ.).



▲ ბელგრადი. იუგოსლავიის მძლეოსნობის ფედერაცია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქვეყნის ჩემპიონატში სუსტად გამოვიდა ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი ვაჟი კარასი: 100 მ მან 10,6 წამში გაირბინა, ხოლო 200 მ — 22,3 წამში. სამაგიეროდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა სპრინტერმა ქალმა ლუბეიმ, რომელმაც პირველობა დაისაკუთრა სპრინტსა და თარჯრბენში. აი, მისი შედეგებიც: 100 მ — 11,5, 200 მ — 23,8, 80 მ თარჯრბენი — 10,6.

▲ ბუქარესტი. „პოიანა ბრაშოვის" სტადიონზე გაიმართა რუმინეთის 52-ე ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 100 მეტრზე რბენა მოიგო გ. ზამფირესკუმ — 10,6, სიმაღლეზე ხტომა — შ. იოანმა — 207 სმ, სიგრძეზე ხტომა — ვ. სერუკანმა — 751 სმ, სამხტომი — შ. ჩოკინმა — 16,18 მ. ჭოკით ხტომა — პ. ასტაფეიმ—490 სმ.

## 64:56

## ჟუჟუნ...

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე განმეორებით ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სორბონის უნივერსიტეტის (პარიზი) კალათბურთელ ქალთა გუნდები. ბრძოლა ამჯერადაც საინტერესო იყო. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 64:56 (21:28).

## 7 ტურის შემდეგ

რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს პირველობა ასუჯრიან შაშში.

დისტანციის ნახევარი უკვე გავლილია. 7 ტურის შემდეგ წინაა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილე, აზერბაიჯანის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. ბაბაიანი — 6,5 ქულა. შემდეგ მოდიან: პირველთანრიგოსანი ვ. კანდელაკი (კასპი)—5,5, ოსტატობის კანდიდატი ვ. ბახტაძე (თბილისი) —4,5 (1), პირველთანრიგოსანი ს. თომაშვილი —3,5 (2), სპორტის ოსტატი ს. პახლაჯიანი და ოსტატობის კანდიდატი გ. მინასიანი (ორივე — თბილისი)— 3-3 (2-2).

სპორტის ოსტატმა ბაბაიანმა კვლავ გამარჯვება მოიპოვა თომაშვილთან, ი. ბესტაევთან და ნ. მამაკოვთან. მისი პარტია თელაველ პირველთანრიგოსან ჯ. ჯავახიასთან ყაიმით დასრულდა.

კვლავ წარმატებით გამოდის კანდელაკი. მან განსაკუთრებით კარგად ითამაშა VI ტურში რესპუბლიკის ვეტერან მოშაშესთან, სპორტის ოსტატ პახლაჯიანთან. ოსტატმა თავისი პოზიციის შესაძლებლობა ზედმეტად შეაფასა, გამარტივებაზე უარი თქვა, მაგრამ გართულება მისთვის საზიანო აღმოჩნდა. კანდელაკმა შესანიშნავად ითამაშა და პარტია მოგებამდე მიიყვანა.

სატურნირო პოზიცია გაიუმჯობესა ბახტაძემ, რომელმაც სამი გამარჯვება მოიპოვა: ვ. ინწკირველთან, ა. კანჯარიასთან და კ. ივაშენკოსთან. მისი შეხვედრა პახლაჯიანთან გადაიდო. გადადებულ პარტიაში მოსალოდნელია ყაიმი.

პირველობის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა. მოსალოდნელია საინტერესო ბრძოლა I-II ადგილების პრეტენდენტებს შორის, რადგან ეს ადგილები სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლევა.

ს. პახლაჯიანი,
სპორტის ოსტატი.



## საუკეთესოა ტკაჩენკო

ავსტრიის ქალაქ გრაცში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში. ღრუბელი რომ გაიფანტა და მსაჯებს შეეძლოთ სპორტსმენებისთვის დიდ სიმაღლეზეც ედევნებინათ თვალი, ჩემპიონატის მონაწილეებმა ჯგუფური ვარჯიშები გადადეს და დაიწყეს შეჯიბრება პირად პირველობაზე 2000 მეტრიდან ხტომაში. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 30 წლის კიეველმა ინჟინერმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. ტკაჩენკომ.

გრძელდება ბრძოლა ჯგუფურ ვარჯიშში. მესამე ნახტომით ოთხივე საბჭოთა პარაშუტისტი ზუსტად წრის ცენტრში დაეშვა. ამით მათ უმაღლესი შეფასება მიიღეს და ლიდერთა პოზიციები განიმტკიცეს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სსრ კავშირის პარაშუტისტთა ნაკრების წევრები (მარცხნიდან) — ე. ტკაჩენკო, სპორტის ოსტატი ვ. შარაბანოვი (გორკი), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. გურნი (მინსკი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კრესტიანიკოვი (ტაშკენტი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. კაზაკოვი (სარანსკი).

ფოტო ვ. ხუხლაევისა (საკდესი).



# ვინ წავა მეხიკოში?

მექსიკისკენ მიმავალი ველოსიპედისტების ხანმოკლე „შესვენებამ“ ხარკოვის ტრეკზე და იქ გამართული საკავშირო ჩემპიონატის შედეგებმა ერთხელ კიდევ მოგვცა საშუალება სალად განვსაჯოთ ველოსიპედისტთა შესაძლებლობანი გენერალური ოლიმპიური ბრძოლის წინ.

ვინ აცხადებს პრეტენზიას ადგილებზე სსრ კავშირის ნაკრებში? რა შანსები აქვთ საბჭოთა სპორტსმენებს მეხიკოში? ვინ არიან მათი მთავარი მეტოქეები? შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

### სპრინტი

პროგრამის ამ სახეობაში, როგორც ჩანს, ყველაზე დაძაბული და წარმტაცი ბრძოლა გაჩაღდება: სულ ცოტა ოთხი თანაბარძალოვანი ველოსიპედისტი ერთნაირი უფლებით აცხადებს პრეტენზიას ოქროს ჯილდოზე. ესენი არიან, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ფრანგი დანიელ მორელონი, მისი თანამემამულე პიერ ტრანტენი, იტალიელი ჯორდანო ტურინი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ომარ ფხაკაძე.

— 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფხაკაძე ახლა ჩინებულ სპორტულ ფორმაშია, — ამბობს ნაკრების მწვრთნელი, რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი რ. ვარგაშკინი. — თავისი უდავო უპირატესობა ომარმა ხარკოვშიც დაამტკიცა, სადაც მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგა. განსაკუთრებით ეფექტურად მოუგო მან ფინალური რბოლა იგორ ცელოვალნიკოვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გამოიყენა ტაქტიკური ხერხების მდიდარი არსენალი, მისი საფინიშო ბიძგი კი, უბრალოდ, განუმეორებელი იყო. 24 წლის თბილისელმა მეხუთედ მოიპოვა ოქროს მედალი.

94-კილოგრამიანი გიგანტი ადრეც იყო ცნობილი ძლიერი ბიძგითა და მაღალი სისწრაფით — სპრინტერის ამ ძვირფასი თვისებებით. მაგრამ წლეულს ომარი გვიჩვენებს კიდევ ერთ, მისთვის მეტად საჭირო უნარს — ძალების ბრძნულად განაწილების უნარს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ოლიმპიური ასპარეზობა ჩატარდება ახალ ხისსაფარიან, 333-მეტრიან „მაგდალენა მიშუკას“ ტრეკზე, რომელზეც ფხაკაძის ტიპის ველოსიპედისტებს მთლიანად შეუძლიათ თავიანთი შესაძლებლობის გახსნა, ცხადი გახდება, რომ ომარს პრიზიორთა სამეულში მოხვედრის ყველა შანსი აქვს.

აი, რას ამბობს ფხაკაძეზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (ორჯერ — პროფესიონალთა შორის) ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი იან დერიქსენი: „ფიზიკური და ჩქაროსნული თვისებებით ომარი № 1 სპრინტერია არა მარტო მოყვარულებში, არამედ პროფესიონალებშიც“.

— ამრიგად, ფხაკაძის ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში დაჯავშნულია 100 პროცენტით. მეორე ვაკანსია (სპრინტში ყოველ ქვეყანას უფლება აქვს ორი სპორტსმენი გამოიყვანოს), როგორც ჩანს, 20 წლის ხარკოველ სტუდენტს, მომავალ ფიზიკოსს სერგეი კრავცოვს შეხვდება, რომელიც მხოლოდ შარშან გამოვიდა დიდ სარბიელზე. მაღალი სისწრაფე და მძლავრი ფინიში ახალგაზრდა ველოსიპედისტის მთავარი ღირსებაა, საერთაშორისო გამოცდილების უქონლობა კი — ნაკლი.

ღირს კი ოლიმპიადაზე ახალბედა სპორტსმენის გაგზავნა, როცა ნაკრებში გყავს ისეთი მაღალი კლასის ოსტატები, როგორიც არიან იმანტ ბოდნიეკსი, ვიქტორ ლოგუნოვი, ალექსანდრე აგაპოვი და იგორ ცელოვალნიკოვი? საქმე ისაა, რომ ოლიმპიურ წელიწადს ამ სპორტსმენებმა ტანდემებზე დასხდომა გადაწყვიტეს, ხოლო აგაპოვი და ცელოვალნიკოვი სპეციალურად ემზადებიან გიტისთვისაც.

### ველოსიპედისტები ემზადებიან

### გიტი 1 კილომეტრზე ადგილიდან

საბჭოთა ველოსიპედისტების შარშანდელმა ლიდერმა ამ სახეობაში, 21 წლის ტულელმა ალექსანდრე აგაპოვმა (იგი საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონია, ამსტერდამის მსოფლიო ჩემპიონატში მეშვიდე იყო, ხოლო მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში — მეხუთე) ახლა დათმო პოზიციები: როგორც ჩანს, თავი იჩინა გადატანილმა ავადმყოფობამ. გიტში წინა პლანზე გამოდის ხარკოვის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი, 24 წლის იგორ ცელოვალნიკოვი. მშობლიურ ტრეკზე იგორი უძლიერესი გამოდგა (1.08,97), აგაპოვს 0,29 წამით მოუგო. ასეთი შედეგით ოლიმპიურ თამაშებში წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია, მაგრამ, მწვრთნელის აზრით, მეხიკოში აგაპოვსაც და ცელოვალნიკოვსაც შეუძლიათ აჩვენონ 1.03-1.03,5. მხოლოდ ასეთი შედეგით შეიძლება ბრძოლა ჩემპიონის მედლისთვის, ფიქრობს როსტისლავ ვარგაშკინი. დღესდღეობით ძნელია ითქვას, ვის ანდობენ მწვრთნელები ადგილს გიტში. ჩემი აზრით, ცელოვალნიკოვს მეტი შანსი აქვს. იგი უფრო ტექნიკურია და მსუბუქი. „მაგდალენა მიშუკას“ სწორედ ამ ტიპის ველოსიპედისტები „უყვარს“.

— გიტში საბჭოთა გუნდს ერთ-ერთი მედლის იმედი აქვს, — ამბობს ვარგაშკინი. — მეტოქეები? იტალიელი სარტორი, ჰოლანდიელი ბალკი, დანიელი ფრედბორგი და გფრ-ის წარმომადგენელი ჰონცი.

### ტანდემებით რბოლა

ბოდნიეკსი და ლოგუნოვი სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ტანდემებით რბოლაში, მაგრამ ვინაიდან ჩემპიონთა მთავარი მეტოქეები — აგაპოვი და ცელოვალნიკოვი ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ, საბჭოთა სპორტსმენების ნამდვილ ძალაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ვის ჩააბარებენ მეხიკოს საგზურს: უფრო მანევრულ და მწვავე ბოდნიეკს — ლოგუნოვის ტანდემს, თუ აგაპოვ—ცელოვალნიკოვის მძლავრ და სწრაფ წყვილს? ეს მოგვიანებით გაირკვევა.

— წინა ორი ოლიმპიური თამაშებიდან საბჭოთა ტანდემისტები მედლებით დაბრუნდნენ, — ამბობს ვარგაშკინი. — რომში ლეონოვ — ვასილიევის წყვილი III ადგილზე იყო, ხოლო ტოკიოში ბოდნიეკსი და ლოგუნოვი კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდნენ. ვფიქრობ, ეს სასიამოვნო ტრადიცია არ დაირღვევა მეხიკოშიც, თუმცა საბჭოთა ველოსიპედისტებს ძლიერ კონკურენციას გაუწევენ წყვილები: ვერზინი — გონზეტო (იტალია), ტრანტენი — მორელონი (საფრანგეთი), ვან ლანკერი — გონსი (ბელგია), აგრეთვე, გდრ-ისა და გფრ-ის დუეტები.

### 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა

— ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს არ უნდა ჰქონდეთ მედლის იმედი, — ამბობს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ო. ბორისოვი. — მეხიკოში წარმატებას მიაღწევს ის, ვინც აჩვენებს დაახლოებით 4 წუთსა და 35 წამს, სტანისლავ მოსკვინის საუკეთესო შედეგი კი (შარშან მეხიკოში აჩვენა) 4.54,71-ს შეადგენს. ამ სახეობაში ფავორიტები არიან: კრატცერი (გფრ), ფრეი (დანია), როდრიგესი (კოლუმბია) და ტრევინიო (მექსიკა).

და მაინც, ბორისოვის აზრის მიუხედავად, მე მოსკვინის იმედი მაქვს. ხარკოვში მან მერვედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა ამ სახეობაში. 29 წლის ოსტატის ბრწყინვალე ტექნიკასა და დიდ გამოცდილებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველასთვის ცნობილია მისი სპორტული ხასიათი: მოსკვინი ხომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია გუნდურ რბოლაში და ორგზის ვერცხლის პრიზიორი — ინდივიდუალურში. „მოსკვინი ჩემთვის კვლავ რჩება დიდ ველოსიპედისტად, რომლისგანაც მუდამ ვსწავლობ“, — განაცხადა ერთხელ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა კარლ ლინკმა (გფრ).

### 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდური რბოლა

სეზონის დასაწყისში, „ტულის დიდი პრიზის“ გათამაშებისას, მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა და მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში გამარჯვებულმა სსრ კავშირის ნაკრებმა 4-კილომეტრიანი დისტანციის გავლას 4.34,2 მოანდომა. ეს შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა ველოსიპედისტები არც წლეულს აპირებენ პოზიციების დათმობას გუნდურ რბოლაში. მართლაც, „ტულის გრან პრის“ რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კვარტეტმა ვარეზეს (იტალია) საერთაშორისო შეჯიბრებაში კიდევ უფრო მაღალი შედეგი აჩვენა (4.29,5) და გააუმჯობესა სსრ კავშირის 8 წლის წინანდელი რეკორდი. თუ რაიმე საგანგებო არ მოხდა, შარშანდელი ოთხეული უცვლელი დარჩება. რბოლას, როგორც ყოველთვის, დაიწყებს ვიქტორ ბიკოვი, რომელსაც კარგი სასტარტო სისწრაფე აქვს. მას ზურგში ამოუდგებიან ძინტარს ლაცისი, რომელიც ბრწყინვალედ გრძნობს რიტმს და ფინიშის ოსტატები: ლენინგრადელი სტანისლავ მოსკვინი და ტაშკენტელი მიხეილ კოლიუშევი. გუნდის სათადარიგო წევრია 21 წლის მოსკოველი ვლადიმერ კუზნეცოვი.

— გუნდურ რბოლაში ჩვენი მიზანია ოქროს მედლები, თუმცა ძლიერი მეტოქეები გვეყოლება იტალიის, გდრ-ის, დანიისა და ჩეხოსლოვაკიის კვარტეტების სახით, — თქვა საუბრის დასასრულს ოლეგ ბორისოვმა.

ვ. შლაენი.

## საზღვარგარეთის პრესის მიმოხილვა



სურათზე: ჯ. რაიანი.
ფოტო ჟურნალ „ტრეკ ენდ ფილდიდან“ (აშშ).

ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ ორი განაცხადი მიიღო: 110-ე — ბრიტანეთის გონდურასისგან, რომელიც მეხიკოში სამი მსროლელით, ორი ველოსიპედისტით და ერთი ძალოსნით იქნება წარმოდგენილი, და 111-ე — სირიისგან. ეს 17 დელეგაციით მეტია ტოკიოს ოლიმპიადაზე.

გაზეთები სულ უფრო ხშირად აქვეყნებენ ცნობებს გუნდების რიცხვისა და შემადგენლობის შესახებ. მაგალითად, პოლონეთი მეხიკოში 80 კაცს გაგზავნის, თურქეთი — 40 სპორტსმენს, მათ შორის, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდებს, სამ მოკრივეს, მძლეოსანთა საკმაოდ მძლავრ ჯგუფს. დიდი ბრიტანეთი 70 სპორტსმენს გაგზავნის. საინტერესოა, რომ მოფარიკავეთა შორის არის ალან ჯეი — ყველა ოლიმპიადის მონაწილე 1952 წლიდან. ინგლისელები მთავარ იმედებს ამყარებენ მძლეოსნებზე, კერძოდ, ოლიმპიურ ჩემპიონებზე მერი რენდზე (80 მ თარჯრბენი, ხუთჭიდი) და ლინ დევისზე (სიგრძეზე ხტომა). ინგლისი სიმაღლეზე მხტომელებსა და სამხტომის ოსტატებს არ გამოიყვანს, მაგრამ ყველა სახეობაში მისი სამ-სამი წარმომადგენელი იასპარეზებს. დიდი ლაპარაკია ახალ ვარსკვლავზე, 24 წლის ალან ბლინსტონზე, რომელმაც ამას წინათ მაღალი შედეგი აჩვენა 5000 მეტრზე — 13.40,5. როგორც გაზეთი „მორნინგ სტარი“ წერს, ინგლისის ნიჩბოსანთა ჯგუფში თავდაპირველ სიას (10 ნიჩბოსანი, რვაადგილიანი და ორადგილიანი ნავები) ალარავინ დაემატება. ერთ დროს ნიჩბოსნობის კლასიკურმა ქვეყანამ — დიდმა ბრიტანეთმა დიდი ხანია დათმო პოზიცია.

მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია სხვადასხვა წინაოლიმპიური, ოფიციალური თუ „დასაზვერი“ შეჯიბრების ანგარიშებით, პროგნოზებით მომავალ ოლიმპიელთა გეგმებსა და იმედებზე. საფრანგეთის სპორტულმა ორგანომ „ეკიპმა“ თავის ფურცლებზე შემოიღო კიდევ ერთი ახალი რუბრიკა: „ოლიმპიური გვირგვინის ახალი პრეტენდენტები“. ამ პრეტენდენტებს შორის უკვე გამოირჩევა ჩეხოსლოვაკიელი თარჯმორბენალი ლიუბომირ ნადენიჩეკი, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში 13,5 წამი აჩვენა. ანგარიშგასაწევია მისი თანამემამულე მილენა რეზკოვა, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში ეროვნული რეკორდი დაამყარა — 182 სმ.

სპეციალისტებისა და სპორტის

## კლარკი ჩვე

მოყვარულთა ყურადღებას იქცევს მსოფლიო რეკორდსმენის რონ კლარკის კოლორიტული პიროვნება. სკანდინავიის ტურნეს შემდეგ იგი ჩავიდა საფრანგეთის სამთო ბანაკ ფონ-რომიოში, სადაც იწვრთნებიან ცნობილი ტუნისელი სტაიერი მოჰამედ გამუდი და ფრანგი მორბენლები ჟან ვადუ და გი ტექსეროც. „კლარკი თავისი ჩვეულების ერთგული რჩება: მას არ შეუძლია ნელა სირბილი“, — წერდა ერთი გაზეთი მას შემდეგ, როცა ავსტრალიელმა 5-კილომეტრიან დისტანციაზე 13.35,4 აჩვენა. კლარკმა განაცხადა: „მე კმაყოფილი ვარ ჩემი ფორმით. ფონ-რომიოში 22-25 აგვისტომდე დავრჩები. ოლიმპიადაზე წასვლამდე ვეცდები ორიოდე კვირა გავატარო ამერიკის შეერთებული შტატების საწვრთნელ ცენტრში საუს ლეიკ ტაჰოში. იქ საბოლოოდ შევამოწმებ, როგორ ვეგუები მაღალმთიანეთს. ჩემი ძირითადი დისტანცია მაინც 10.000 მეტრია: ეს მანძილი უფრო

# ბრძოლა გრძელდება

...ის მიზანს. „საქმე ისაა, — თქვა ... — რომ ჩვენ გვსურს კიდევ ერ... ... აღვნიშნოთ უთანასწორობა ჩვენს ...ანაში. სპორტსმენი საწვრთნელ მე... ...ინეობაზე თუ შეჯიბრებებზე დღეში ... საათს ატარებს. დანარჩენ დროს ... იმავე ჯურღმულებში ტრიალებს, ... ზანგების უმეტესობა ცხოვრობს. ...ამ ზანგ სპორტსმენებს აქვთ შე... ...ლობა, რომ თუნდაც სულ ცო... ...ხნით მაინც გამოიწვიონ მასების ...აგრძნობა. და მათ ეს შესაძლებლო... ...უნდა გამოიყენონ“. დისკუსიის შე... ... სპორტსმენებმა გადაწყვიტეს, ... საპროტესტო მოძრაობა უნდა გა...ელდეს. ამერიკის შეერთებული ...ატების ეროვნული ოლიმპიური კო...ტეტის ბევრი მოღვაწე დიდი ხანია ...თაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ...ზიდენტის ე. ბრენდეჯის დუდუკზე ...ს. ამბობენ, ზანგი ათლეტების ...კოტი მაძვე მოუტანს ზიანს და „...ერიკული გუნდის საერთო წარმატე...ბას“ ვაილენას ვერ მოახდენსო. „ზან... სპორტსმენები, — ამტკიცებენ ეს ...ღვაწეები, — ისეთ ცუდ ფორმაში ...არიან, რომ მათმა უმეტესობამ საეჭვოა ...არჩევ ოლიმპიურ შეჯიბრებას გაუ...ძლოს“.

...ლოს-ანჯელესში და სხვა საკვალი...ფიკაციო შეჯიბრებებში გამოსვლით ...ზანგი ათლეტები კიდევ ერთხელ გვიჩ...ვენებენ თავიანთ ძალას, — ამბობს ედ...ვარდსი, — დაამტკიცებენ, რომ მათ ...ძლოთ ბევრი მედალი მოეტანათ თავიანთი ქვეყნისთვის, თუ კი იგი პა...ტივს სცემდა მათი ხალხის უფლებებსა ... ღირსებას. ამის შემდეგ ბოიკოტი, ...ის შეწყვეტა ჩვენ არც გვიფიქ... ...იდევ უფრო მძლავრი იარაღი ...დება“.

...როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ზან...გი ათლეტები არც ბოიკოტზე ამბობენ ...რს და ლოს-ანჯელესში ასპარეზობა...საც აპირებენ, ამერიკის შეერთებული ...ატების სპორტულმა მოღვაწეებმა ...ზომები მიიღეს.

...შეჯიბრების მეორე დღეს, როცა სა...რბიელზე სმითი და მეორე გამოჩენი...ლი ზანგი სპორტსმენი — ბოიკოტის ...მხრე ჯ. კარლოსი უნდა გამოსული...ყვნენ, სტადიონიდან საპატიო კვარცხ...ლბეკი აიღეს და გამარჯვებულთა მი...ხალმების ცერემონიალი მოხსნეს. სტა...დიონიდან სპორტსმენების გასვლისას ...არც საზეიმო მარში უნდა შესრულებუ...ლიყო. როგორც შეჯიბრების დამთავ...რების შემდეგ გამოირკვა, აშშ-ს ოლი...მპიური კომიტეტის ჩინოვნიკებმა ჯერ ...კიდევ ტურნირამდე მოილაპარაკეს, რომ ამ ასპარეზობისთვის წინაოლიმპიური არ ეწოდებინათ.

ადრე დადგენილი იყო, რომ შეჯიბრების ყველა სახეობაში პირველ სამ ადგილზე გასული სპორტსმენები ავტომატურად შეჰყავდათ აშშ-ს ნაკრების შემადგენლობაში. ამჯერად სხვაგვარად მოხდა: ყველას, ვინც I-VIII ადგილები დაიკავა, ჰქონდა შანსი ტახოს ტბაზე (კალიფორნიის შტატი) წასვლისა, რათა იქ ხელმეორედ „ეცადა ბედი“.

ასეთი გადაწყვეტილების მიზანი ნათელია: სურდათ ზანგ სპორტსმენებს რაც შეიძლება მეტი ძალა დაეკარგათ შესარჩევ შეჯიბრებებში, რათა უარი თამაშებში მონაწილეობაზე მათთვის უფრო გულდასაწყვეტი ყოფილიყო. შემთხვევით როდი წერს ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი“: „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მწვრთნელებმა გადაწყვიტეს სპორტსმენთა შემოწმება მაღალმთიანეთის პირობებში ჯერ კიდევ მეხიკოში ჩასვლამდე (ტახოს სიმაღლეა 2213 მ ზღვის დონიდან) და ტრავმირებულ ვარსკვლავთა დასვენება. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ეს მხოლოდ ბოიკოტის მომხრეთა გავლენისგან თავდაცვის საშუალება იყო. ტახოს ტბაზე მხოლოდ ლიდერები რომ წაეყვანათ, კომიტეტი დარჩებოდა ზანგების გუნდის პირისპირ, რომელიც ოლიმპიური პროგრამის 18 სახეობიდან შვიდში მიიღებდა მონაწილეობას და ხელმძღვანელებს ბოიკოტის რეალური საფრთხის წინაშე დააყენებდა“.

მაგრამ შავი ვარსკვლავები დანებებას არ აპირებენ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ათასგვარი ხრიკებისა. „საბოიკოტო მოძრაობა ახირება არაა და ამიტომ არ შეიძლება ასე უეცრად იქნას უარყოფილი მისივე მონაწილეების მიერ“, — განაცხადა ჯ. კარლოსმა.

ფაქტები მეტყველებენ: ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს ოფიციალური კანონები ფერადკანიან ათლეტთა დისკრიმინაციის შესახებ (როგორც ეს რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშია), მაგრამ ზანგი სპორტსმენები მაინც ცუდ დღეში არიან.

„ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროდან 3 ათასი მილის დაშორებით ცხოვრობს სახელგანთქმული კალათბურთელი კედვინ მერფი. სამოყვარულო კალათბურთის „№ 2 ბომბარდირს“ ნიაგარის უნივერსიტეტში ათას რამეს დაჰპირდნენ, მაგრამ არც ერთი დაპირება არ შეუსრულებიათ. მერფი თითქმის სრულ იზოლაციაში ცხოვრობს. ნაწილობრივ მან თვით აირჩია მარტოობა — 2500 სტუდენტში მხოლოდ 6 ზანგია. მერფის ხშირად გაუგონია ზურგს უკან ნათქვამი: „შეხედეთ, მოდის შავი მაიმუნი“. სამმა ზანგმა სტუდენტმა უკვე დატოვა უნივერსიტეტი. მერფიც ამასვე ფიქრობს. „სულ ვილიმები, რომ არავინ შემატყოს, რას ვგრძნობ“, — ამბობს იგი.

ეს ციტატა ამერიკის ჟურნალ „ლაიფიდან“ ამოვიღეთ. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ამერიკის კალათბურთის ვარსკვლავი ლიუ ალსინდორი უარს ამბობს შესარჩევ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, ხოლო მის მაგალითს ბაძავს ექვსი ზანგი კალათბურთელი, რომელთა შორის ცნობილი სპორტსმენი ჰეიესიც არის?

რას ნიშნავს ზანგი ათლეტების ბოიკოტი შეერთებული შტატებისთვის? თუ 1964 წლის შედეგებით ვიმსჯელებთ, იმ 350 სპორტსმენიდან, რომელთაც ეს ქვეყანა მეხიკოში გზავნის, 50 ზანგი იქნება. თუ ყველა მათგანი უარს იტყვის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, ამერიკის შეერთებული შტატები დაკარგავს 20 მძლეოსან ვაჟს, 11 მძლეოსან ქალს, 8 მოკრივეს, 6 კალათბურთელს, 4 მოჭიდავეს და ერთ ხუთჭიდელს, ესე იგი, გუნდის 15 პროცენტს. ტოკიოში ამ ჯგუფმა 16 მედალი მოიპოვა, აქედან 9 ოქროსი.

ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია ითქვას, რით დამთავრდება ზანგი სპორტსმენების საბოიკოტო მოძრაობა. 400 მეტრზე რბენის ცნობილმა ოსტატმა, ზანგმა ლი ევანსმა ამ დღეებში განაცხადა: „მაშინაც კი, თუ ბოიკოტი ჩაიშალა, ჩვენ მოვნახავთ გზას, რომ მეხიკოში მთელი სპორტული სამყაროს წინაშე გამოვთქვათ პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ“. ამერიკის ოფიციალური პროპაგანდა ყოველ საშუალებას იყენებს იმ მიზნით, რომ საბოიკოტო მოძრაობა დაასუსტოს და დაარღვიოს. მაგრამ ნათელია მეორეც: ზანგმა სპორტსმენებმა მტკიცედ განაცხადეს, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ მოქალაქეობრივი უფლებებისთვის, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგო. და ეს ბრძოლა არ მთავრდება!

ა. ბურკოვი.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ სენეგალელ მხტომელ მანსირ დიას, რომელიც მეხიკოს წინაოლიმპიური კვირეულის დღეებში ძალიან დაუმეგობრდა საბჭოთა მძლეოსნებს.

ფოტო ვ. შანდრინისა.



„არ მესმის, რატომ არ შეუძლიათ ქალებს დასძლიონ საკუთარ სიმაღლეზე მეტი, ვაჟები ხომ მშვენივრად ახერხებენ ამას?“

ეს სიტყვები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანს, 16 წლის რიტა შმიდტს ეკუთვნის. მან კარგა ხანია დაამტკიცა, რომ მართლაც საუცხოო სპორტსმენია და არავითარი სიმაღლე არ აშინებს. ამბობს კიდეც, 175 სანტიმეტრამდე თამასა ისე დაბალი მეჩვენება, რომ ეს კარგად გადახტომას მიშლისო. რიტას წარმატება თითქმის სენსაციურად მატულობს. მაგალითად, წლეულს 9-დან 15 თებერვლამდე მან თავისი შედეგი 176 სანტიმეტრიდან 183-მდე აიყვანა, 18 თებერვალს კი გდრ-ის ზამთრის პირველობაში 185 სმ აჩვენა და 11 სმ-ით „გადააჭარბა“ საკუთარ სიმაღლეს.

ზნამენსკების ამასწინანდელ მემორიალში რიტამ 1 ადგილი დაიკავა. ახლა ახალგაზრდა სპორტსმენი — გდრ-ის ჩემპიონი და რეკორდსმენი გულდასმით ემზადება მექსიკის მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის, რომლის საგზური მას, რა თქმა უნდა, განაღდებული აქვს.

# საგზური კი სულ რვაა...

კიევში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სროლაში. მოწინავე საბჭოთა მსროლელებისთვის ეს იყო ბოლო დიდი შეჯიბრება მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ და მას უნდა დაედგინა ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატთა ვინაობა. ტასს-ის კორესპონდენტი, სპორტის ოსტატი ვ. ჩაიკა შეხვდა სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს სროლაში მ. პოლიკანინს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

**● თუ შეიძლება, გვიამბეთ მეხიკოს ასპარეზობის ძირითად კანდიდატებზე.**

— ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ჯერჯერობით მეტად ძნელია, მაგრამ მაინც დავასახელებ რამდენიმე სპორტსმენს, რომლებიც დღეისთვის უფრო მომზადებულად მიმაჩნია. პირველ ყოვლისა, 25 წლის ვ. პარხიმოვიჩი. ნიჭიერმა მინსკელმა სპორტსმენმა შარშან საუცხოო შედეგი აჩვენა მცირეკალიბრიან სტანდარტში (მშ-6). ამ ვარჯიშში მან 1170 ქულა მოაგროვა, რაც ოფიციალურ მსოფლიო და ოლიმპიურ რეკორდებს აღემატება. ეს მართლაც კარგი განაცხადია მეხიკოში საპრიზო ადგილისთვის. ჩინებულ ფორმაშია ნაკრები გუნდის კომორგი, ევროპის 1966 წლის ჩემპიონი ვ. კორნევიც. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კიევში, სადაც საბრძოლო შაშხანით (ნშ-6) შეჯიბრებაში 1166 ქულა მოაგროვა და 10 ქულით გადააჭარბა სსრ კავშირის რეკორდს. სხვათა შორის, მისი შედეგი მსოფლიო რეკორდსაც სჯობს. თუ დავუმატებთ. რომ კორნევს შეუძლია გამარჯვებისთვის განეწყოს, მშვიდია და ანგარიშიანი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ტირში მას ყოველგვარი ამოცანის გადაჭრა შეუძლია.

კიევის სასროლეთზე ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მესამე მედალი იოლად მოიგო ი. ბაკალოვმა, რომელმაც სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა სილუეტებზე სწრაფსროლაში — 597 ქულა (მსოფლიო რეკორდი — 596). ბაკალოვი საბჭოთა ნაკრების ლიდერია ამ ვარჯიშში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკავშირო სარბიელზე ძლიერი მეტოქეების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს უცხოურ სარბიელზე გამოსვლაზე. თუ ეს დაბრკოლებაც დასძლია, ბაკალოვს ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში შეუძლია გამარჯვება.

ამ მხრივ გამოირჩევა ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სტოლიპინი. როგორც წესი, შიდასაქვეყნო ტურნირებში იგი თავის შესაძლებლობებზე ნაკლები წარმატებით გამოდის, მაგრამ საერთაშორისო შეჯიბრებებში ვერ იცნობთ, ძლიერი მეტოქეობის პირობებში იგი სავსებით იცვლება. ნაკრების ვეტერანისთვის უცხოა შიშის გრძნობა საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა, ოლიმპიადაში სტოლიპინი ჯერ არ გამოსულა.

მწვრთნელთა საბჭო დიდ იმედებს ამყარებს ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ შ. ქველიაშვილზე, ოლიმპიურ კვირეულში გამარჯვებულ ვ. კომლევზე, რომელიც ბოლო ორ სეზონში მაღალ, სტაბილურ შედეგებს გვიჩვენებს, აგრეთვე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონ ა. გერასიმიონოკზე.

ოლიმპიადის კანდიდატთა სიაში მათს გარდა შედიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ო. ლაპკინი, ვ. კონიახინი. გ. კოსიხი, ა. ონიშჩუკი, ს. ფრანცევსკი. უმეტესობას კარგად იცნობენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ სპორტსმენებს ბევრჯერ უჩვენებიათ ექსტრა-კლასის შედეგები.

**● მაგრამ მსროლელებს ხომ მეხიკოს მხოლოდ რვა საგზური ეძლევათ?**

— დიახ, მსოფლიო პირველობასთან შედარებით ოლიმპიური თამაშების პროგრამა ძალიან შეკვეცილია. ოლიმპიურ სარბიელზე გათამაშდება მედლების მხოლოდ 5 კომპლექტი მშ-9, მშ-6, ნშ-6, მპ-6, მპ-8 ვარჯიშებში. მწვრთნელების წინაშე დგას რთული ამოცანა: ვის დაავალონ ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა? სწორედ ამიტომ, გუნდის შემადგენლობას მხოლოდ მზადების დასკვნითი ეტაპის დამთავრებისთვის გამოვაცხადებთ.

**● როგორ ჩატარდება ეს მზადება?**

— ოლიმპიური ნაკრების ყველა კანდიდატი ვარჯიშს განაგრძობს თავისი ინდივიდუალური გეგმით და ყურადღებას მიაქცევს უმთავრესად იმ ნაკლს, რაც შეიძლება მარცხის მიზეზი გახდეს. მზადების გეგმაში ჩართულია შეჯიბრებებიც. მაგალითად, ტარტუს შეკრების შემდეგ სპორტსმენთა ნაწილი (ონიშჩუკი, სულეიმანოვი, სტოლიპინი, უდაჩინი, კორნევი) ფინეთს გაემგზავრება არმიელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სექტემბერში სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები ძალას ცდიან ოლიმპიური რეზერვების მატჩში, რომელიც ერევანში ჩატარდება. მე დავასახელე მხოლოდ დიდი ტურნირები. ცალკეული კანდიდატები მონაწილეობას მიიღებენ უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებებშიც. ბუნებრივია, დიდი ყურადღება დაეთმობა გუნდების შინა შეჯიბრებებსაც. დასასრულ, ჩატარდება საკონტროლო ტურნირი წახკაძორში, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

**● ვინ მიგაჩნიათ მთავარ მეტოქეებად?**

— ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილე უკლებლივ და მაინც, პირველ ადგილზე დგანან ამერიკის შეერთებული შტატების მსროლელები, რომელთაგან განსაკუთრებით სახიფათონი არიან ანდერსონი, უიგერი, ფოსტერი, ადამსი, ტომპსონი. სხვათა შორის, ტომპსონი ქალია და იგი წარმატებით იბრძვის მსროლელ ვაჟებთან.

ვფიქრობ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლა უმთავრესად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მსროლელებს შორის გაჩაღდება. ამასთან, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ გდრ-ის, პოლონეთის, იაპონიის, ფინეთის, შვეიცარიის სპორტსმენებს.

# ...ბის ერთგულია

...ბის ინფორმაციები გამოიყენა და ...კითხველს აცნობა შინაარსი დე...პეშისა, რომელიც ბიკილამ ადის...აბებაში გაგზავნა. როგორც ცნობი...ლი სპორტსმენი წერს, ექიმებს ...თვის ათდღიანი პროცედურები ...უნიშნავთ და გამოჯანსაღების ...დი იმედი მიუციათ. სხვათა შო...რის, ამას წინათ მარათონული ...რბენა სან-სებასტიანში მოიგო ბი...კილას თანამემამულემ მარამ გებ...რუმ (2:18.58). III ადგილზეც ...ეთიოპიელი მამო ვოლდე გავიდა (2:19.53). ასე რომ, ამ აფრიკული ...ქვეყნის გუნდში ძალიან ძლიერი ...მარათონელები იყრიან თავს.

...რა ხდება ახლა ოკეანეს გაღმა, ამე...რიკის მაღალმთიან ბანაკებში? ...მსოფლიო რეკორდსმენმა ჯიმ რა...იანმა ფლაგსტაფში 880 იარდზე ...რბენას 1.47,9 მოანდომა. მან თქვა, ...რომ კმაყოფილია შედეგით, განსა...კუთრებით კი იმ ამბით, რომ მისი ...ხეული სიმაღლეს გაცილებით ...ადვილ ეგუება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. „ახლა 1500 მეტრზე უნდა ვირბინო და მაშინ საბოლოოდ დავადგენ, რომელ დისტანციაზე უნდა გამოვიდე მეხიკოში, თუ სექტემბრის შესარჩევი შეჯიბრებები გავიარე“.

ამერიკული ცნობების მიხედვით, საუს ლეიკ ტახოს სტარტებმა დაამტკიცა, რომ კარგ ფორმაში არიან საშუალო მანძილებზე მორბენალი უეიდ ბელი, სტაიერი ჯერი ლინდგრენი, ბადრონ მტყორცნელები, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი არტურ ორტური (62,74 მ) და მსოფლიო რეკორდსმენი ჯეი სილვესტრი (62,08 მ). იდუმალებითაა მოცული ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსან ქალთა გუნდის მაჩვენებლები. აგვისტოში 70 ამერიკელი ოლიმპიელი რამდენიმე საწვრთნელ გამოსვლას გამართავს ტახოში „უცნაურ“ დისტანციებზე: 75, 150, 500, 80 და 300 მეტრზე თარჯრბენში, 1600 მეტრზე წინაღობებით რბენაში და ა. შ. ამ გამოსვლებს დაბლობში გამართული შეჯიბრებები ენაცვლება, რაც, სპეციალისტების აზრით, გააიოლებს აკლიმატიზაციას მეხიკოში.

ჯერჯერობით ტახოში შეკრებილ 70 მძლეოსანს შორის ზანგები არ არიან. ეს ძალიან აფიქრებს მწვრთნელს ს. რაინს, რომელსაც დავალებული აქვს გუნდის მომზადება 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. მაგრამ აი, ერთი საგულისხმო ფაქტი: თეთრკანიანმა სპორტსმენებმა პირველად გამოუცხადეს სოლიდარობა ზანგებს. ესენი არიან ლონგბიჩის შესარჩევ შეჯიბრებაში გამარჯვებული, ჰარვარდის უნივერსიტეტის რვაადგილიანი ნავის მესაჭე და ოთხი მენიჩბე. „ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვეთანხმებით ზანგი სპორტსმენების პოზიციას ჩვენი საზოგადოების მიმართ კრიტიკის საკითხში“, — ასეთი კოლექტიური განცხადება გააკეთეს ნიჩბოსნებმა ბოსტონის კრების შემდეგ. მათ გადაწყვიტეს, რომ, ჯერ ერთი, სწორად აუხსნან მეხიკოსთვის შერჩეულ თეთრკანიან სპორტსმენებს შავკანიანი ათლეტების უკმაყოფილების მიზეზი, მეორეც, მოძებნონ გზა, რათა აშკარად გვიჩვენონ თეთრკანიანი სპორტსმენების მხარდაჭერა თავიანთი შავკანიანი ამხანაგების მიმართ. ჰარვარდელების მწვრთნელმა ჰ. პარკერმა თქვა, რომ მოსწონს თავისი ახალგაზრდების ვაჟკაცობა და გულწრფელობა, მაგრამ შიშობს, რომ შეიძლება ამან ეკიპაჟის წინაოლიმპიურ მზადებას ავნოს: ნიჩბოსნების აქცია მოკრძალებულია, მაგრამ საქმის პოლიტიკური შეფერვა მაინც არ არის საეჭვოო.

და ბოლოს: მექსიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის გამგზავრებისთვის გროვდება ფულადი შეწირულება. ჟურნალმა „სპორტ ილიუსტრიტედმა“ გამოაქვეყნა კომენტარი ხელმოწერაზე ამ ლოზუნგებით: „ჩვენს გუნდს სუბსიდიას აშშ-ს მოქალაქეები აძლევენ და თანხებიც მხოლოდ თქვენგან შეიძლება მივიღოთ“, „ამერიკა არ გზავნის თავის სპორტსმენებს მექსიკაში, მაგრამ ამას აკეთებენ ამერიკელები“.

ქვეყანას, რომელსაც აგრესიული ომი ვიეტნამში ყოველდღიურად მილიონობით დოლარი უჯდება, არ შეუძლია გამონახოს სახსრები თავისი სპორტული დელეგაციის ოლიმპიურ თამაშებში სასპარეზოდ გასაგზავნად. განა აქ კომენტარები საჭიროა?!

# „ხელბურთის თქვენებური ტემპერამენტი ამშვენებს“

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივი შარშან საფრანგეთში იყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ქალაქ ვილფრანშის ხელბურთელთა საკლუბო გუნდის მიწვევით. ამ დღეებში ფრანგი სპორტსმენები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ თბილისელებს. სტუმრებს საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილეობის 10 წლის გამოცდილება აქვთ. შარშანდელი პირველობა მათ V ადგილით დაამთავრეს და ახლა გუნდი წლევანდელი ასპარეზობის სამზადისშია. სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრებისთვის ემზადებიან „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებიც. ასე რომ, თბილისის საერთაშორისო მატჩებს გარკვეული მიზანი აქვს ორივე გუნდისთვის.

პირველმა შეხვედრამ, რომელიც გუშინწინ კიროვის პარკის კალათბურთის მოედანზე გაიმართა, ასობით მაყურებელი მიიზიდა. დაიწყო თამაში. მეკარე ჯ. აბაიშვილს ზედიზედ ორი სახიფათო ტყორცნის მოგერიება მოუხდა. მაგრამ როგორც კი ბურთი ხელთ იგდეს, თბილისელებმა შეტევა 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან პირველი ბურთის გატანით დაასრულეს. ვ. ნედბაილომ იმავე პოზიციიდან მეორე ბურთი გაიტანა.

ფრანგებმა ლამაზი კომბინაციით სწრაფად აღადგინეს წონასწორობა. შემდეგ აბაიშვილის მოგერიებულ ბურთს დროზე მიუსწრო მარაშიანმა (№ 8) და სტუმრები დაწინაურდნენ. მეტოქე წინ იყო მე-11 წუთზეც, როცა აბაიშვილის კარში ზედიზედ 2 ბურთი გავიდა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ქართველ სპორტსმენთა გააზრებული იერიშების ფონზე თანდათან გამოჩნდა მეტოქის დაცვის სისუსტე. თავდასხმაში მარაშიანის აქტიურობამ (მან 5 ბურთი გაიტანა) ფრანგები მარცხისგან ვერ იხსნა და გუნდმა 14 ბურთის სხვაობით წააგო თამაში — 17:31.

თბილისელთა ხათადარიგო სკამი საკმაოდ გრძელი გამოდგა: იყო მომენტები, როცა მოედანზე ახალბედები ჭარბობდნენ.

„ბურევესტნიკის“ გუნდში პირველად ვიხილეთ ვ. ნედბაილო, გ. აბესაძე, დ. ამაშუკელი და ბ. გასიევი. ნედბაილო პირდაპირ შეუდარებელი იყო! მისმა მკვირცხლმა და ტექნიკურად უზადო თამაშმა დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს. საკმაოდ მაღალტექნიკურია 18 წლის გ. აბესაძეც. მეორე ნახევრის მე-16 წუთზე მისი აქტიური მონაწილეობით განხორციელებულმა შეტევამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ოვაცია ეკუთვნოდა სტუმართა მეკარესაც, რომელმაც შესანიშნავად მოიგერია ძლიერი ტყორცნა. ბურთს კვლავ აბესაძემ მიუსწრო, უმალვე გადასცა იგი მარჯვენა ფლანგზე ზ. ბუნაძეს, მაგრამ მეკარემ ამ უკანასკნელის ოსტატური დარტყმაც მოიგერია.

აბესაძემ ინგლისური ენაც კარგად იცის — მატჩის შემდეგ მან მეგობრული საუბარი გაუმართა სტუმრებს.

— თქვენმა ბიჭებმა შარშანაც მოგვიგეს და იმპროვიზებული ხელბურთით გააოცეს ჩვენი გულშემატკივრები. ხელბურთის თქვენებური ტემპერამენტი ამშვენებს. ძალიან მომწონს აბაიშვილის, ფხაკაძისა და ნედბაილოს თამაში, — თქვა სტუმრების გუნდის მეკარემ ჟ. დიმულამ.

— საქართველოში პირველად ვართ. გვხიბლავს მშვენიერი ბუნება, თქვენი ხალხის უბრალოება და გულუხვი მასპინძლობა, — დაუმატა მეგობრის ნათქვამს ჰ. ბერნერმა.

**თ. ბაჩიჩილაძე.**

• • •

სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ფეხბურთი -68



# საქართველოს თასზე

საქართველოს თასის გათამაშებამ ნახევარფინალურ ეტაპს მიაღწია.

მეოთხედფინალები ასეთი შედეგებით აღინიშნა: გარდაბნელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ვაზისუბნის „მევენახე“, ხოლო წულუკიძელებმა — ცხაკაიას „კოლხეთი“ — 1:0.

თბილისის „სინათლისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ დაძაბული შეხვედრა მოიგო „სინათლემ“ — 2:1.

გაკიცხვის ღირსია ჩხოროწყუს „კოლმეურნე“, რომელიც სათამაშოდ არ ჩავიდა სიღნაღში. ამ გუნდს ჩაეთვალა დამარცხება.

ამრიგად, ნახევარფინალურ მატჩებში ითამაშებენ გარდაბანი — წულუკიძე და „სინათლე“ (თბილისი) — სიღნაღი. ეს შეხვედრები ჩატარდება თბილისში 28-29 აგვისტოს, ხოლო 1 სექტემბერს გაიმართება ფინალი.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ბ“ ჯგუფი

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები რსფსრ-ს ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### ცხინვალიდან...

ადგილობრივი „სპარტაკის“ შეხვედრამ მოზდოკის „ირისთონთან“ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაში დაიწყო იმით, რომ სტუმრებმა მე-2 წუთზე მოულოდნელი, სწრაფი შეტევა განავითარეს, რომლის შედეგად მარგოევი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და ძლიერად დაარტყა კარში — 1:0.

სპარტაკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დაბნეულან. პირიქით, გუნდმა რამდენიმე მოფიქრებული კონტრიერიში განახორციელა და 22-ე წუთზე ვაჩეიშვილის მიერ მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი ზუსტად გამოიყენა ჯანგავაძემ — 1:1.

კიდევ უფრო აქტიურად ითამაშეს ცხინვალელებმა შესვენების შემდეგ. ზედიზედ ორჯერ დაკარგა ბურთის გატანის საუკეთესო მომენტი გაბოძემ, მაგრამ აი, 70-ე წუთზე „ირისთონის“ ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე და გაბოძემ კარგად დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:1.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს ანგარიშის შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ საიმედოდ ითამაშეს მეკარეებმა რევაზოვმა („ირისთონი“) და შარაშენიძემ („სპარტაკი“).

**ვ. მელქოევი.**

#### ქობულეთიდან...

„შუქურამ“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლა.

უკვე მე-11 წუთზე ქობულეთელებს მიეცათ ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, მაგრამ გაგნიძემ ბურთი მიზანს ააცილა. ცოტა ხანში ასეთივე სახიფათო მომენტი შეიქმნა „შუქურას“ კართან და მეკარე გაგნიძემ შეძლო ძაგანიას ძნელი ბურთის აღება.

შესვენების შემდეგ ქობულეთელმა ფეხბურთელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება, თუმცა ვალში არც ფოთელები რჩებოდნენ.

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, გატანილ იქნა მე-60 წუთზე: ერთ-ერთი იერიშისას პოლტაჩიძემ ბურთი გადააწოდა წინ გამოსულ მცველ გოგმაჩაძეს, რომელმაც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ეს კომბინაცია —1:0.

**ლ. ტრაპაიძე.**

## ცნობა უცხოეთიდან

# სკანდინავიის ლიგა?

სტოკჰოლმში გაიმართა შვეციის, ნორვეგიის, ფინეთისა და დანიის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა თათბირი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი—სკანდინავიის ერთიანი ლიგის ჩამოყალიბება. პროექტში, რომელიც ამ თათბირმა მიიღო, ნათქვამია, რომ გაისიდან უნდა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები სკანდინავიის პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებისთვის, რომელშიც თვითეული ქვეყნიდან 4 გუნდი შევა.

სკანდინავიის პროფესიული ლიგის ჩამოყალიბება, მიმომხილველთა აზრით, შეზღუდავს საუკეთესო ფეხბურთელთა ემიგრაციას. ეს განსაკუთრებით ეხება შვეციას, სადაც გამუდმებით დაძრწიან ფეხბურთელებით მოვაჭრენი და ნიჭიერ ახალგაზრდებს იბირებენ.

# მწვრთნელი კმაყოფილია

ჩვენ უკვე ვწერდით ძალოსანთა საკავშირო პირველობაზე პროფკავშირთა გუნდებს შორის, რომელიც ლუგანსკში გაიმართა. შედეგების დაჯამების შემდეგ გამოირკვა, რომ გუნდურ II ადგილზე გავიდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვების“ კოლექტივი, რომლის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი.

ჩვენს კითხვაზე — კმაყოფილია თუ არა თავისი აღსაზრდელების ასპარეზობით, წერეთელმა გვიპასუხა: სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ასეთი შედეგებით III ადგილს დავიკავებდითო.

ჩვენი გუნდის ცალკეულ სპორტსმენთა შედეგები ასეთია: მჩატე წონაში მ. პართენაძემ სამჭიდში 295 კგ დააგროვა და საკუთარი მიღწევა 10 კილოგრამით გააუმჯობესა.

ქვემსუბუქ წონაში სსრ კავშირის რეკორდსმენი დ. შანიძე უნდა გამოსულიყო, მაგრამ იგი ოლიმპიურ გუნდშია და ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

მსუბუქ წონაში რ. ოგანესიანმა 350 კგ დააგროვა და მხოლოდ XII ადგილზე გავიდა.

ქვესაშუალო წონაში გ. გასპარიანმა სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი შედეგი (397,5 კგ) აჩვენა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

საშუალო წონაში 32 ძალოსანი ასპარეზობდა. გაიმარჯვა თბილისელმა ო. დემუროვმა — 455 კგ. მან უახლოეს მეტოქეს 15 კგ მოუგო და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რეკორდიც დაამყარა.

მძიმე წონაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი დ. მუშკუდიანი მხოლოდ მეექვსე იყო. ზემძიმე წონაში კი თბილისელი ვ. კაზანჯიანი II ადგილზე გავიდა — 475 კგ. ეს 15 კილოგრამით უმჯობესია „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რეკორდზე.

**ა. ნუშაევი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



# დამატებითი ცდის შემდეგ

ნოვოსიბირსკში მოეწყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი ჩემპიონატი სპიდვეიში. მონაწილეთა შორის იყო თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ვ. კლიმენტიევი, რომელიც 8 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ ი. დუბინინს (ნოვოსიბირსკი). 25 ქულა დააგროვა რიგელმა ოსტატობის კანდიდატმა ვ. პეტროვსკიმაც. ამიტომ მეორე პრიზიორის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი ცდა კლიმენტიევსა და პეტროვსკის შორის. აქ იმარჯვა თბილისელმა და II ადგილიც დაისაკუთრა.

სურათზე: ვ. კლიმენტიევი.

ფოტო და ტექსტი ა. გურასაშვილისა.



# მეორე ადგილზე

კოსტრომაში დამთავრდა ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I ახალგაზრდული საკავშირო თამაშების პროგრამაში შედიოდა.

ჩვენი გუნდის წარმომადგენელმა ა. კრაინენკომ ოქროს მედალი მოიხვეჭა „ამორჩევით“ დაბრკოლებათა გადალახვაში. ამავე სახეობაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა საქართველოს გუნდის მეორე წევრმა კ. მანჯავიძემ. „ექვსი დაბრკოლების“ გადალახვაში მანჯავიძემ ერთი საფეხურით აიწია და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ძალიან დაძაბული იყო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში— „სამონადირო პარკური“. მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ჩვენი რესპუბლიკის მხედარმა დ. ხოფერიამ, რომელმაც II ადგილი დაისაკუთრა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს მხედრებმა. II ადგილზე გავიდნენ საქართველოს წარმომადგენლები, ხოლო III — უკრაინელები.

# ტრადიციულ მეტოქეთა შეხვედრა

გლაზგო. შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშებით აქ ახალი საფეხბურთო სეზონი გაიხსნა. ცხადია, ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ქვეყნის საუკეთესო გუნდების — „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრამ. 80 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა უაღრესად მწვავე ბრძოლისა, რომელიც „სელტიკის“ გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ორივე გოლის ავტორია ცენტრალური თავდამსხმელი უოლესი. შოტლანდიის თასის მფლობელმა „დანფერმლაინმა“ დაამარცხა „დანდი“ — 3:2.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

ფეხბურთი. დღეს — საქართველოს პირველობა. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ნულორი“ (ვანი). დასაწყისი 18 ს. „იბნის“ სტადიონი. „იხანი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ბორჯომი). დასაწყისი 18 ს. 30 წ.